ბუნებრივ და საწარმოო ბიექტებში რკინა(III)-ის განსაზღვრისთვის შემოთავაზებულ იქნა ნიგროზო-R მარილის საფუძველზე შემუშავებული მეთოდები [38,76]. შენაღნობებში რკინის განსაზღვრა ნიგროზო-R მარილის საფუძველზე დამყარებული მის მიერ შეფერილი კომპლექსის წარმოქმნაზე [38] სინათლის შთანთქმის მაქსიმუმით $\epsilon=1,94 \cdot 10^4$. რკინის ≤ 60 მკგ/მლ კონცენტრაციამდე გრადუირებული გრაფიკი სწორხაზოებრივია; მიწისქვეშა წყლებში რკინის ფოტომეტრული განსაზღვრა ნიგროზო-R მარილით ტარდება pH=6-8 პირობებში [82], კომპლექსის მაქსიმალური სინათლის შთანთქმა შეინიშნება ტალღის სიგრძეზე 710 ნმ.




ნიგროზო- მარილი

დადგენილი იქნა აგრეთვე, რკინა(III)-ის განსაზღვრის ექსტრაქციულ-ფოტომეტრული მეთოდები 4-(2-პირიდილაზო)-რებოორცინით და მისი წარმოებულებით. განსაზღვრის რეაქცია დამყარებულია შეფერილი კომპლექსის წარმოქმნაზე, მაქსიმალური სინათლის შთანთქმით 485 ნმ და ხასიათდება მაღალი მგრძნობელობით.



4-(2-პირიდილაზო)-რეზორცინი


შემოთავაზებული იყო ასევე ქრომოფორმისექსტრაქციაზე დამყარებული რკინა(III)-ის განსაზღვრის ექსტრაქციულ-ფოტომეტრულიმეთოდი, რაც გულისხმობს ტეტრაფენილფოსფონის კატიონით და ჰიდროქსისულფანინის მექანის ამოპიროზოლანური წარმოებულებისგან შერეულიგანდებიანი კომპლექსების წარმოქმნას და მიღებული ექსტრაქტების სინათლის შთანთქმის გამოშვას 565 ნმ ტალღის სიგრძეზე [33].



ტეტრაფენილფოსფონი


ექსტრაქციას აგარებდნენ 5 წუთის განშავლობაში pH=5,4-ზე; რკინის კონცენტრაციას 0,5-10 მკგ/მლ გრადუირებული გრაფიკი სწორხაზოვანია.

სხვადასხვა შენაღნობებში რკინა(III)-ის განსაზღვრისთვის გამოყენებულ იყო 1-(2-პირიდილაზო)-2-ნაფტოლი [31], ხოლო ეკოლოგიურ ობიექტებში განსაზღვრისთვის 1-(2-თიაზოლილაზო)-2-ნაფტოლი [32]. მისი განსაზღვრა 1-(2-პირიდილაზო)-2-ნაფტოლით დამყარებულია შეფერილი კომპლექსის წარმოქმნაზე მაქსიმალური სინათლის შთანთქმით $\lambda=724$ ნმ. ამშემთხვევაში ბერის კანონი დაცულია Fe(III)-ის 0,1-10 მგ/5მლ კონცენტრაციის ინტერვალში.




1-(2-თიაზოლილაზო)-2-ნაფტოლი

Fe(III)-ის ფოტომეტრული განსაზღვრისთვის ფართოდ გამოიყენება გრიარიმეთანური საღებრები [33, 54-61]. ბერის კანონის



გრიარიმეთანური საღებრები


დაცულობა Fe(III)-ის ფენილის წითელით განსაზღვრისას შეინიშნება რკინის კონცენტრაციის 0-0,4 მკგ/25მლ ინტერვალში. ეს მეთოდიკა გამოიყენება წყალში რკინის განსაზღვრისთვის.



ფენილის წითელი


შემოთავაზებული იყო, ასევე რკინის განსაზღვრის ახალი მარტივი და მგძნობიარე სპექტროფოტომეტრული მეთოდი ქსილენოციანოლეიკო ნაერთით [58].

განსაზღვრა დამყარებულია შეფერილი კომპლექსის წარმოქმნაზე გოგირდმკავას არეში (pH 2-3) მაქსიმალური სინათლის შთანთქმით გაღლის სიგრძეზე 615 ნმ.




ქსილენის ნარიჩი

Fe(III)-ის განსაზღვრისთვის ნიკელის შენაღობებში და ჩამდინარე წყლებში გამოყენებული იყო ქსილენის ნარიჩი [56,60]. გრადუირებული გრაფიკი სწორხაზობრივია 0-0,25 მკგ/მლ კონცენტრაციის ინტერვალში [56]. ნიკელის შენაღობებში განსაზღვრა ტარდებოდა pH=4 [60], ამ შემთხვევაში გრადუირებული გრაფიკი სწორხაზობრივია Fe(III)-ის ≤ 400 მკგ/მლ კონცენტრაციის ინტერვალში.




ფენილფლორონი

რკინის განსაზღვრისთვის მინერალურ წყლებში გამოიყენეს მეთილის მწვანე [61] და ფენილფლორონი [33]. ასევე მნიშვნელოვანია რკინის განსაზღვრა ქრომობოროლ S-ის შერეულიგანდიან კომპლექსებით [54,55,59].




მეთილის მწვანე

ქრომობორლ S-ით ცეტიტრიმეთილამონიუმბრომიდის თანაობისას შემუშავებული მეთოდით [54.59] გამოყენებულ იქნა წვიმის წყალში რკინის განსაზღვრისთვის [55]. კომპლექსის მაქსიმალური შუქმთანთქმა შეინიშნება გალლის სიგრძისას 640 ნმ.



ცეტიტრიმეთილამონიუმბრომიდი

რკინა(III)-ის განსაზღვრა ქრომობორლ S-ით (R_1) და ქინოლით (R_2) დამყარებულია შერეულიგანდიან კომპლექსების წარმოქმნაზე, როცა $pH=5,6$ და კომპონენტთა თანაფარდობაა $Fe:R_1:R_2$ [55].




Twin 20

ზელაპირულად აქტიური ნივთიერების - Twin 20-ის თანაობისას რკინა(III) დიეთილამინო სალიცილ ალდეჰიდ-პარა-ამინობენზოილჰიდრაზონთან წარმოქმნის შეფერილ კომპლექსის $pH=5,65$ თანაფარდობით 1:2 [62].


კომპლექსის მაქსიმალური სინათლის შთანთქმა შეინიშნება ტალღის სიგრძეზე $\lambda=426$ ნმ.

Fe(III)-ის ფოტომეტრული განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნა ღიანგიპირილმეთანი და მისი შერეულიგანდიანი კომპლექსები ნაფტალინ-2-სულფომჟავასთან [63]. კომპლექსის წარმოქმნა შეინიშნება ინტერვალში $\text{pH}=2,2-2,5$ და $\lambda=440-460$ ნმ. მეთოდის გამოყენებულ იქნა



ღიანგიპირილმეთანი


რკინა(III)-ის განსაზღვრისთვის ბრინჯაოსა და მაგნიუმის შენაღობებში. ნაფტალინ-2-სულფომჟავას თანაობისას შერეულიგანდიან კომპლექსს წარმოქმნის რკინა(III) ღიანგიპირილმეთანთან [63].



2-ნაფტალინსულფომჟავა


გამოკვლეული იქნა შერეულიგანდიან კომპლექსის ექსტრაქციის პირობები და დამუშავდა სტანდარტულ სინჯებში Fe(III)-ის ექსტრაქციულ-ფოტომეტრული განსაზღვრის მეთოდის გამოყენება. Fe(III)-ის ფოტომეტრული განსაზღვრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს როდანილულ კომპლექსებს [64-67]. სხვა იონებიდან Fe(III)-ის შერჩევითი გამოყოფისთვის შესწავლილი იქნა ქრომოფორით ექსტრაქცია და ფოტომეტრულად განისაზღვრა ორგანულ ფაზაში როდანილ-იონისა და დიმეთილფორამიდის შეფერილი კომპლექსი [65]. რკინა(III)-ის განსაზღვრაზე გავლენას არ ახდენს სხვა იონების $100 - 1000000$ -ჯერ მეტი შემცველობა. ტიტან(IV)-ის ქლორიდის განსაზღვრა ეყრდნობა წარმოქმნილი როდანილური კომპლექსის სინათლის შთანთქმის გამოვლას 440 ნმ-სას [66]. კომპლექსის

შთანთქმის მოლარული კოეფიციენტი ტოლია 3600. მეთოდის საშუალებას იძლევა განსაზღვროთ რკინა 30-300 მკმოლი/ლ რაოდენობით.



დიმეთილფორმამიდი


რკინის განსაზღვრისთვის სუფთა რეაგენტებში გამოყენებულ იქნა მისი შერეულიგანდიანი როდანიდული - SCN კომპლექსები და კრისტალური იისფერი [67].




კრისტალური იისფერი

შემოთავაზებული იყო თიოსემიკარბაზონ-სალიცილალდეჰიდთან Fe(III)-ის განსაზღვრის ექსტრაქციულ-სპექტროფოტომეტრული მეთოდის [55]. pH=5-6-სას Fe(III) წარმოქმნის მწვანე ფერის კომპლექსს კომპონენტების თანაფარდობით 1:2. კომპლექსის მაქსიმალური სინათლის შთანთქმა შეიმჩნევა $\epsilon = 1,1 \cdot 10^4$ და გალღის სიგრძეზე 375 ნმ.

აცეტილაცეტონის და პრიამალონის საფუძველზე სინთეზირებული შიფის ფუძეების (აზომეთინები) ანალიზური შესაძლებლობები და მათიგამოყენებით რკინა(III)-ის ფოტომეტრული და ექსტრაქციულ-ფოტომეტრული განსაზღვრა ასახულია [33,68-70] ლიგერატურაში. აგრეთვე შემოთავაზებული იყო მეთილ-(2-ოქსიპროპილ)-N-(პარა-ფორფენილ) აზომეთინით რკინა(III)-ის ექსტრაქციულ-ფოტომეტრული განსაზღვრა [71].




აცეტილაცეტონი




შიფის ფუძეები

რკინა(III)-ის განსაზღვრის ახალი ფოტომეტრიული მეთოდები იქნა შემოთავაზებული მორინის ორგანული რეაგენტის (3,5,7,2,4-პენტაჰიდროქსიფლავონი) გამოყენებით [72,73]. რკინა(III)-ს ბინარული კომპლექსის სახით მორინით განსაზღვრისას ბერის კანონზე დაქვემდებარება დაცულია 0,19 - 1,5 მგ/მლ კონცენტრაციის ინტერვალში [72]. ეს მეთოდი გამოყენებული იქნა რკინა(III)-ის განსაზღვრისთვის სხვადასხვა შედგენილობის შენაღობებში.



მორინის ორგანული რეაგენტი - 3,5,7,2,4-პენტაჰიდროქსიფლავონი




გრიგონ X-100

მიცელარულ გარემოში გრიგონ X-100 რკინა(III) მორინთან წარმოქმნის შერეულიგანდიან კომპლექსს [73]. ასეთი სახის შერეულიგანდიანი კომპლექსის განსაზღვრის ქვედა ზღვარი შეადგენს 0,03 მკგ/მლ. სისხლის ნიმუშებში რკინა(III)-ის განსაზღვრისთვის იყენებენ ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებას,

გან

1-ციკლოპროპილ-6-ფტორ-2,4-დიჰიდრო-4-ოქსო-7-(1-ნიტრაზილ)-ქინოლინ-4-კარბონმჟავას და ნაგრიუმის ლოდეცილსულფატს[74].



ნაგრიუმის ლოდეცილსულფატი

დადგენილია, რომ რკინა აცეტილაცეტონთან სპირგ-წყალხსნარსა და აცეტონ-წყალხსნარის pH=4,5 და 8,0, $\lambda=440$ ნმ გარემოში წარმოქმნის ერთბირთვიან კომპლექსურ ნაერთს [12]. განსაზღვრულია კომპლექსწარმოქმნის პირობები. დამუშავებული მეთოდით შესაძლებელია რკინა(III)-ის განსაზღვრა ბრინჯაოში.


სინთეზირებული ახალი რეაგენტით 4-ჰიდროქსი-3,5-დიმეტოქსი-ბენზალდეჰიდ-4-ჰიდროქსიბენზოილჰიდრაზონით (ჰდმბაჰბჰ) (5%) მეავეური სურფაქტანტის S-TAB თანაობისას დამუშავებულია Fe(II) და Fe(III)-ის სპექტროფოტომეტრული განსაზღვრის ორი მარტივი, მგრძნობიარე და სელექციური მეთოდი. Fe(II) და Fe(III) ჰდმბაჰბჰ-თან იძლევა წყალში ხსნად ყვითელ კომპლექსს. ეს კომპლექსი მაქსიმალურ აბსორბციულ უნარს ავლენს $\lambda=400-380$ ნმ გალდის სიგრძეზე. ბერის კანონი დაცულია 0,139-1,396 ინტერვალში. შეფერილი კომპლექსისთვის შთანთქმის მოლარული კოეფიციენტი და სენდელის მგრძნობელობა შეადგენს Fe(II)-თვის $3,09 \cdot 10^4$ ლ/მოლისმ-ს და 0,0018 მგ/სმ²-ს, ხოლო Fe(III)-ისთვის $1,71 \cdot 10^4$ ლ/მოლისმ-ს და 0,0032

მგ/სმ²-ს შესაბამისად. ამ მიმართულებით შესწავლილია სხვადასხვა იონების გავლენა. Fe(II) და Fe(III) წარმოქმნის ჰდმბაჰბჰ-თან კომპლექსს თანაფარდობით 1:1. მდგრადობის კოეფიციენტი Fe(II)-სთვის არის $3,49 \cdot 10^6$ და $3,5 \cdot 10^5$ Fe(III)-თვის. Fe(II)-ის წილზე მოდის 0.558 მგ/მლ და 0,0016; ხოლო Fe(III)-ის წილზე 0,279 მგ/მლ შესაბამისად. პირველი და მეორე სპექტროფოტომეტრული მეთოდი სრულყოფილია Fe(II)-ისთვის, როცა $\lambda = 420, 440$ ნმ და Fe(III)-ისთვის, როცა $\lambda = 440, 460$ ნმ. დამუშავებული მეთოდები გამოიყენება Fe(II) და Fe(III)-ის განსაზღვრისთვის სინთეზური შენაღობების ნიმუშებში. შედეგები ემთხვევა სერტიფიცირებულ მონაცემებს [75].

ოპტიმიზირებული სპექტროფოტომეტრული მეთოდია შემოთავაზებული Fe-ისა და Co-ის ინდივიდუალური და ერთობლივი განსაზღვრისთვის. 2-ჰიდროქსი-1-ნაფტალდეჰიდ-ჰარა-ჰიდროქსიბენ-ზოლჰიდრაზონი (ჰნაჰბჰ) Fe(II) და Co(II)-თან წარმოქმნის მოწითალო-მოყავისფრო და ყვითელ კომპლექსებს [Fe(II)-ჰნაჰბჰ] და [Co(II) -ჰნაჰბჰ]. კომპლექსების მაქსიმალური აბსორბციული უნარი შეინიშნება 405 ნმ და 425 ნმ გალლის სიგრძეზე. [Fe(II)-ჰნაჰბჰ]-თვის ბერის კანონზე დაქვემდებარება შეინიშნება ინტერვალში 0,055 - 1,373 მგ/მლ, აღმოჩენის მღვართით 0,095 და შთანთქმის მოლარული კოეფიციენტით $5.6 \cdot 10^4$ ლ/მოლი.სმ. [Co(II)-ჰნაჰბჰ]-თვის ბერის კანონზე დაქვემდებარება შეინიშნება ინტერვალში 0,118-3,534 მგ/მლ, აღმოჩენის მღვართით 0,04 და შთანთქმის მოლარული კოეფიციენტით $2,3 \cdot 10^4$ ლ/მოლი.სმ. აღწერილია ასევე Fe-ისა და Co-ის განსაზღვრის მაღალი მგრძნობელობის მეთოდები. Fe -ისა და Co-ის განსაზღვრის ყველა შემოთავაზებული მეთოდი გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ბიოლოგიური წყლის ნიმუშებში და შენაღობებში [76].

დამუშავებულია კარბოქსინინის მარტივ ფორმაში და ნაერთებში, სპექტროფოტომეტრული განსაზღვრის მარტივი, ჩქარი და მგრძნობიარე მეთოდი. პირველი მეთოდი დაფუძნებულია კარბოქსინინისა და 1,10-ფენანტროლინის შეერთების რეაქციაზე FeCl₂-ის თანაობისას. მიღებული ნარინჯისფერი კომპლექსის გალლის სიგრძეა $\lambda = 510$ ნმ. ბერის კანონზე დაქვემდებარება მოსალოდნელია დიაპაზონში 1-10 მლ (10 ± 100 მგ/მლ) და მოლარული აბსორბციული უნარი გოლია $5,6 \cdot 10^4$ ლ/მოლი.სმ, მაშინ როცა, როგორც წესი,

სენდელის მგრძნობელობა შეადგენს 0.2061. მეორე მეთოდი დამყარებულია კარბოქსილ-2,2'-დიპირიდილთან კომპლექსწარმოქმნის რეაქციაზე. მოლარული აბსორბციული უნარი გოლია $\lambda_{\text{max}}=522$ ნმ, სენდელის მგრძნობელობა $2,2605 \cdot 10^3$ ლ/მოლი.სმ. ბერის კანონზე დაქვემდებარება დაცულია 0,5 - 50 მლ დიაპაზონში [77].



კარბოქსილ-2,2'-დიპირიდილი


Fe, Cu და V ერთდროული განსაზღვრისთვის გამოიყენება ახალი ქრომოფორული რეაგენტი - თიოსემიკარბაზონ-2-კეტოზუნიკის მჟავა. КБАТ, კბატ იძლევა Fe(II)-თან და Cu(II)-თან მოყვითალო-მომწვანო და ლურჯ კომპლექსს. ბერის კანონი დაცულია Cu(II)-თვის 387,2 ნმ-ზე; Fe(II)-თვის 440 ნმ-ზე და (V)-თვის 400 ნმ - ზე. შესწავლილია ამ მეთოდის Fe, Cu და V-ის განსაზღვრის სისწორე და რეპროდუცირება. ასევე შესწავლილია გარეშე იონების გავლენა. შემოთავაზებული მეთოდიკა გამოიყენება ფერო - ვანადიუმის შენაღობის ანალიზისთვის [78].

1.3. რკინის განსაზღვრის ფოტომეტრული მეთოდები სამკურნალწამლო საშუალებებში

სამედიცინო პრეპარატებში Fe(III)-ის სპექტროფოტომეტრული განსაზღვრის მარტივი, სწრაფი და ზუსტი მეთოდი შემოთავაზებული იყო 1-(2,3-დიქლორ-4'-სულფოფენილ)-3-მეთილ-4-ამო-(2'-კარბოქსი-5'-სულფონილის მჟავა)-5-ამოპირიდინით [26]; pH=4,0-სას წარმოქმნილი კომპლექსის მაქსიმალური სინათლის შთანთქმა შეესაბამება 427 ნმ გალღის სიგრძეს.

შესწავლილი იქნა Fe(III)-ის კომპლექსწარმოქმნა ქრომოფორული ორგანული რეაგენტით პარა-ნიგრობენზოლამოსალიცილის მჟავათი

ზედაპირულად აქტიური კატიონური ტიპის ნივთიერების ცეტილტრიმეთილამონიუმის ბრომიდის თანაობისას [30].




პარა-ნიტრობენზოლამოსალიცილის მქაფა

კომპლექსწარმოქმნა გამოკვლეული იყო $\text{pH}=2,5-10$ ინტერვალში და დადგენილ იქნა, რომ ზედაპირულად აქტიური ნივთიერების კონცენტრაციასა და გარემოს მქაფიანობაზე დამოკიდებულებით რკინა(III) გვაძლევს ორ სხვადასხვა ნაერთს.

Fe(III)-ის ფოტომეტრული განსაზღვრისთვის შემუშავებულია მთელი რიგი მეთოდები ჰიდრაზონის წარმოებულების გამოყენებით [34, 79-81]. რკინა(III)-ის ფოტომეტრული განსაზღვრა ბენზოლით, ჰიდრაზონ-2-ჰიდროქსი-1-ნაფტალდეჰიდით დამყარებულია შეფერილი კომპლექსის წარმოქმნაზე, როცა $\text{pH}=5$ [79]. მიღებული კომპლექსი კარგად იხსნება დიმეთილფორმამიდის 30%-იან ხსნარში.

რკინის კონცენტრაციის 0,14 - 1,0 განსაზღვრა შესაძლებელია ბენზოილჰიდრაზონ-2,4-დიჰიდროქსიბენზოფენოლით [80]. განსაზღვრა დამყარებულია შეფერილი კომპლექსის წარმოქმნაზე მაქსიმალური სინათლის შთანთქმით $\epsilon=2,8 \cdot 10^4$, გალღის სიგრძისას $\lambda=380$ ნმ და $\text{pH}=5$. კომპლექსების შედგენილობაში კომპონენტების თანაფარდობა გოლია 2:3.


რკინა(III)-ის ექსტრაქციულ-ფოტომეტრული განსაზღვრის შემოთავაზებული მგრძნობიარე და სელექტიური მეთოდი დამყარებულია რეაქტივად პერიდოქსოლ-4-ფენილ-3-თიოსემიკარბაზონის, ხოლო ექსტრაგენტად ბუთანოლის გამოყენებაზე [82]. კომპლექსის ექსტრაქტის



ფეროცინი

მაქსიმალური სინათლის შთანთქმა $\epsilon=2,3 \cdot 10^4$ მიიღწევა 420 ნმ ტალღის სიგრძისას. დაგრაღულირებული გრაფიკი სწორხაზოვანია Fe(III)-ის კონცენტრაციისას 0,5-6,0 მკგ/მლ ინტერვალში. ეს მეთოდით გამოყენებული იქნა სამედიცინო პრეპარატების და შენაღობების ანალიზისთვის. რკინა(III)-ის ნიადაგის ექსტრაქტებში განსაზღვრისთვის გამოიყენეს ფეროცინი [27]. რკინის ფეროცინთან კომპლექსის მაქსიმალური სინათლის შთანთქმა ნეიგრალურ გარემოში შეიმჩნევა 562 ნმ ტალღის სიგრძისას. ანალიზური რეაგენტით N-ორთო-მეტოქსი-ბენზალდეჰიდ-2- ამინოფენოლით (N-ომბაჰ) დამუშავებულია Fe(II)-ის სპექტროფოტომეტრული განსაზღვრის მარტივი, სწრაფი და მგრძნობიარე მეთოდი და ასევე დახასიათებულია წყალხსნარში pH=5,6-6,8 N-ომბაჰ, Nომბაჰ გარდაქმნა ეთილენის აცეტატად; ინტენსიობა გოლია $\lambda=470$ ნმ. Fe(II) - ისთვის ბერის კანონზე დაქვემდებარება შეინიშნება დიაპაზონში 1 - 7 მგ/მლ-მდე. სენდელის მგრძნობელობა და მოლარული შთანთქმის კოეფიციენტი სისტემისთვის Fe - N-ომბაჰ, N-ომბაჰ შეადგენს 3166 ლ მოლი/სმ და 0,0176 მგ/სმ. კომპლექსის თანაფარდობა 1:1 = Fe:N-ომბაჰ, Nომბაჰ. Fe(II)-ის განსაზღვრის შემოთავაზებული მეთოდი წარმატებით იქნა გამოყენებული ფარმაცევტულ ნიმუშებში. [83].

როგორც წესი, აცეტამინოფენონი გამოიყენება, როგორც სელაგიური პრეპარატი. ლაბორატორიული ექსპერიმენტები საშუალებას იძლევა



აცეტამინოფენონი

განსაზღვროს აცეტამინოფენონის საერთო რაოდენობა და ასევე გელური კაუსულიდან გამოსული აცეტამინოფენონის ხარისხი. ამისათვის გამოიყენება ჯერ Fe(III)-ის იონების აცეტამინოფენონით ქანგის სისტემები, შემდეგ კი Fe(II)-ის იონების მოწითალო - ნარინჯისფერი კომპლექსები, რომლებიც წარმოქმნილია 1,10-ფენანტროლინის დახმარებით. შეფერილი კომპლექსი გამოცდილია და ბერის კანონის მეშვეობით დადგენილია აცეტამინოფენონის ჯამური რაოდენობა [84].

დამუშავებული იქნა წყალბადის ბეჟანგის განსაზღვრის ახალი კატალიზური სპექტროფოტომეტრული მეთოდი ოთახის ტემპერატურაზე. ეს მეთოდი ემყარება Fe(II)-ის გაუფერულების და მწვანე მალაქიტის რეაქციაზე H_2SO_4 და წყალბადის ბეჟანგის თანაობისას. მწვანე მალაქიტის მაქსიმალური აბსორბციული უნარი შეინიშნება, როცა $\lambda = 618$ ნმ. შემოთავაზებული მეთოდი არის მარტივი, სწრაფი და გამოიყენება წყალბადის ბეჟანგის განსაზღვრისთვის წვიმის წყალში [85].


Fe(II)-ის ბენზოლში განსაზღვრისთვის შემოთავაზებული იქნა მარტივი, მგრძნობიარე და სპეციფიკური სპექტროფოტომეტრული განსაზღვრის მეთოდი. Fe(II)-ის იონები ურთიერთქმედებენ 2-ჰიდროქს-5-ბრომ-4-პარა-ბუტოქსიპროპიფენონთან თიოსემიკარბაზონით და $pH=5,0-9,0$ პირობებში წარმოქმნის მუქი წითელი ფერის კომპლექსს. მაქსიმალური აბსორბციული უნარი შეინიშნება, როცა $\lambda_{max} = 470$ ნმ. ბერის კანონზე დაქვემდებარება აღინიშნება 13,96 მგ/მლ დროს. მოლარული აბსორბციული უნარი და სენდელის მგრძნობელობაა 2845 ლ/მოლი.სმ და 0.01962 მგ/სმ². მყარი კომპლექსი აღწერილი იყო ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და ბმრ მეთოდებით.

2-ჰიდროქსი-5-ბრომ-4-პარა-ბუტოქსიპროპიფენონ თიოსემიკარბაზონი წარმოადგენს სელექციურ, ძლიერ ხელაგურ რეაგენტს Fe(II)-ის იონებისთვის. კომპლექსის მდგრადობის კოეფიციენტი $1.22 \cdot 10^7$. კომპლექსის თავისუფალი ენერგიის ცვლილებაა - 9,989 კკალ/მოლი, 35°C ინარჩუნებს მდგრადობას 24 საათის განმავლობაში [86].

საშუალო ტუტე გარემოში Fe(II) და Co(II) NO₂ თიობარბიტურმქავასთან წარმოქმნის ლურჯი და ყვითელი ფერის კომპლექსს. Fe(II)-თვის კომპლექსის მაქსიმალური აბსორბცია შეადგენს 656 ნმ, 386 ნმ-ს და Co(II)-თვის 423 ნმ-ს. ორივე კომპლექსს გააჩნია ადიტიური თავისებურება. დამუშავებული იყო ახალი სპექტროფოტომეტრული მეთოდიკა Fe-ისა და Co-ის კვალის განსაზღვრისთვის NO₂ თიობარბიტურმქავათი. Fe-თვის ბერის კანონზე დაქვემდებარება აღინიშნება ღიაპაზონში 0-50 მგ/25მლ-ზე და Co-თვის 0-25 მგ/25მლ-ზე. მეთოდი, რომელიც გამოიყენება Fe-ისა და Co-ის განსასაზღვრავად Sn-ში თანხვედრაშია სტანდარტულ მონაცემებთან. Fe(II)-თვის გამოსავალი 98-102 % და 94-106 % Co(II)-თვის. ფარდობითი სტანდარტული ცდომილებაა 1,0-1,8% და 3,1-4,7% [87].

შემოთავაზებულია ფარმაცევტულ და წყლის ნიმუშებში Fe(II)-ის განსაზღვრის მარტივი, სელექციური და მგრძნობიარე კინეტიკური სპექტროფოტომეტრული მეთოდი. ეს მეთოდი დამყარებულია Fe(II)-ის კატალიზურ განსაზღვრაზე იისფერი ნატრიუმისბრომიდის საშუალო მქავა არეში. იისფერი კრისტალების გაუფერულება გამოყენებული იქნა რეაქციის სპექტროფოტომეტრული მართვისთვის. ოპტიმალურ პირობებში შესაძლებელია განისაზღვროს 0,10-3,0 მგ/მლ Fe(II). ფარდობითი სტანდარტული გადახრა შეადგენს 1,94%, 0,43% და 0,28%. შესწავლილია ზოგიერთი გარე ფაქტორის ზეგავლენა და დადგენილია, რომ შემნილბავი ნივთიერებების გარეშე Fe(III) არ მოქმედებს Fe(II) - ის განსაზღვრაზე [88].


შემოთავაზებულია სიმვასტანინის (სმგ) განსაზღვრის გიგრიმეტრული და სპექტროფოტომეტრული მეთოდები ბალახეულის და




სიმვასტანინი

წამალთა ნიმუშებში. ამ მეთოდში ბრომირებული აგენტის როლში გამოიყენება ბრომაგ-ბრომიდის ნარევის საშუალო მეკვური ხსნარი, Fe(III) და ასევე დამატებითი აგენტის როლში თიოციანატი. გიგრიმეტრული მეთოდით, სმგ ისაზღვრება ბრომაგ-ბრომიდის ნარევით HCl-ის ხსნარში. ბრომიდი, რომელიც რეაქციაში არ შედის განისაზღვრება იოდომეტრული მეთოდით. სპექტროფოტომეტრულ მეთოდში Fe(II)-ის ხარჯზე ბრომიდის რაოდენობა კლებულობდა მიღებული Fe(III) თიოციონატთან წარმოქმნის კომპლექსს. აბსორბცია შეიმჩნევა $\lambda=470$ ნმ-ზე. გიგრიმეტრული მეთოდი გამოიყენება 1-10 მკ ინტერვალში და (სმგ:KBrO₃)1:0,666 მოლარული თანაფარდობისას. სპექტროფოტომეტრულ მეთოდში ბერის კანონი დაცულია 1-10 მკ/მლ ინტერვალში. მოლარული შთანთქმის უნარია $3,02 \cdot 10^4$ ლ/მოლისმ, ხოლო სენდელის მგრძნობელობა 0,0081 მკ/სმ². აღმოჩენის და ხარისხის მღვარი შეადგენს 0,10 და 0,31 მკ/მლ-ს [89].

აღწერილია ბალახის სინჯებში N-ბრომსუკცინიდის (N-ბს) გამოყენებით სტავედინინის განსაზღვრის სამი მარტივი, მგრძნობიარე და სწრაფი მეთოდი. გიგრიმეტრულ მეთოდში სტვ-ის წყალხსნარი იტიგრება HCl-ის ხსნარში Nბს-თან, ინდიკატორად გამოიყენება მეთილნარინჯი.



N-ბრომსუკცინიდი



სგაუდინინი

გარდა ამისა, სპექტროფოტომეტრული მეთოდი ითვალისწინებს ასევე Fe(II)-ისა და თიოციანატის გამოყენებას. ყველა მეთოდი დამყარებულია სგვ-თან რეაქციაში შესული N-ბს-ს რაოდენობრივ განსაზღვრაზე. გიგრირებულ მეთოდში გაანგარიშებები ტარდება კომპონენტების სგვ-ს და N-ბს-ს 1:2 თანაფარდობით და ინტერვალში 1-9 მგ. სპექტროფოტომეტრულ მეთოდში კი აბსორბცია პროპორციულია სგვ-ის რაოდენობის. A და B მეთოდებისთვის ბერის კანონი დაცულია 0,5-4,0 და 1,5-18 მგ/მლ 0,5 - 4,0 ინტერვალში შესაბამისად. მოლარული შთანთქმის მნიშვნელობაა $6,5 \cdot 10^4$ და $1,1 \cdot 10^4$ ლ/მოლისმ. ორივე მეთოდისთვის დადგენილია აღმოჩენისა და თვისებითი ზღვრები. პროცესი წარმატებით გამოიყენება ფარმაცევტულ ნიმუშებში სგვ-ის განსაზღვრისთვის [84].

სპექტროფოტომეტრული მეთოდით განსაზღვრულია მიკრო Fe და მკაფა Cu ქრომოგენური აგენტის როლში დისოლიუმის მარილის 1-ნიტრო-2-ნაფტოლ-3,6-დისულფონილმკაფას გამოყენებით. შესწავლილია ტალღის სიგრძის, მკაფიანობის, ქრომოგენური აგენტის რაოდენობის და დროის გავლენა. რკინისთვის ბერის კანონი დაცულია, როდესაც $\lambda = 720$ ნმ. შესწავლილია მოქმედი ფაქტორები და მათი აღმოფხვრის საშუალებები. მეთოდი გამოირჩევა მაღალი სიზუსტით [90].

შემოთავაზებულია Fe(II)/Fe(III) -ის განსაზღვრის სელექციური და მგრძნობიარე სპექტროფოტომეტრული მეთოდი. ამ მეთოდში სპექტროფოტომეტრულ აგენტის როლში იყენებენ პუთ-ს (პირილოქსალ-4-ფენილ-3-თიოსემიკარბაზონს) და პარა-ბუთანოლს. მაქსიმალური შთანთქმა შეინიშნება 440 და 420 ნმ-ზე. შესწავლილია Fe(III)-ის კომპლექსის რეაგენტთან ქცევა, როცა pH=2,5-6,5 და სხვადასხვა ლითონთა


იონების ზემოქმედება. ბერის კანონი დაცულია ინტერვალში 0,5-8,0 მგ/მლ Fe. შემოთავაზებული მეთოდი შედარებულ იქნა სხვა სპექტროფოტომეტრულ მეთოდებთან და დადგინდა, რომ იგი წარმოადგენს უფრო მგრძნობიარე და სელექციურ მეთოდს. ფარდობითი სტანდარტული ცდომილება შეადგენს 0,5%-ს. მეთოდი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ 0,5 მგ Fe-ის კვალის რაოდენობა [91].

1.4. რკინისგანსაზღვრის ფოტომეტრული მეთოდები ნიადაგში

აღწერილია Fe(II) და U(VI)-ის განსაზღვრის მარტივი, მგრძნობიარე, პირდაპირი და რეპროდუცირებადი სპექტროფოტომეტრული მეთოდი. იგი ეყრდნობა Fe(II) და 2-ჰიდროქსი-3-მეტოქსიბენზალდეჰიდის (ჰმბა) ნარინჯისფერი კომპლექსის (თანაფარდობით 2:3), და ასევე U(VI)-ჰმბა, ყვითელი ფერის კომპლექსის (თანაფარდობით 1:1) წარმოქმნის რეაქციას, pH=4 გარემოში. Fe(II)-ჰმბა-ს მაქსიმალური აბსორბირებული უნარი, გაანგარიშების მიხედვით ტოლია $\lambda_{\text{მაქს}}=385$ ნმ. ოპტიკურ პირობებში ბერის კანონზე დაქვემდებარება დაცულია ინტერვალში 0,139-1,396 მგ/მლ. მოლარული აბსორბირებული უნარი და განსაზღვრის ზღვარი გაანგარიშების მიხედვით არის $2,0 \cdot 10^4$ ლ/მოლისმ და 0,0013 მგ/მლ². U(VI)-ჰმბა მაქსიმალური აბსორბირებული უნარია $\lambda_{\text{მაქს}}=395$ ნმ. ბერის კანონზე დაქვემდებარება, მოლარული აბსორბირებული უნარი და აღმოჩენის ზღვარი შეადგენს 1,19-11,9 მგ/მლ, $0,9 \cdot 10^4$ ლ/მოლისმ და 0,224 მგ/მლ. Fe(II)-ისა და U(VI)-ის განსაზღვრისთვის შემოთავაზებული იყო მესამე სპექტროფოტომეტრული მეთოდი. ყველა შემოთავაზებული მეთოდი წარმატებით იქნა გამოყენებული Fe(II)-ისა და U(VI)-ის განსაზღვრისთვის სხვადასხვა ეკოლოგიურ, ბიოლოგიურ და სხვა სინჯებში [92].


სხვადასხვა სინჯებში დამუშავებული იქნა პრამიპექსოლის დიჰიდროქლორიდის სპექტროფოტომეტრული განსაზღვრის სამი მარტივი, მგრძნობიარე და ზუსტი მეთოდი. A და B მეთოდები დამყარებულია Fe(II) პრამიპექსოლის დიჰიდროქლორიდის დაქანგვის რეაქციაზე (მეთოდი A) და Fe(II)-ის ინტენსიური ნარინჯისფერ - მოწითალო ფერის კომპლექსის

წარმოქმნაზე 1,10 - ფენანტროლინთან (მეთოდი C) ან 2,2'-დიპირიდილთან (მეთოდი B). ეს მეთოდები წარმატებით იქნა გამოყენებული პრამიპექსოლდიჰიდროქლორიდის განსაზღვრისთვის სხვადასხვა ნიმუშში. შედეგები ემთხვევა ლიტერატურულ მონაცემებს [93].



პრამიპექსოლის დიჰიდროქლორიდი


მეთოდი, რომელიც დამყარებულია ნიადაგში ფენანტროლინით ამორფული რკინის - საღებრის როლში განსაზღვრის სპექტროფოტომეტრულ მეთოდზე, შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: (1) HCl-ისა და ჰიდროქსილამინჰიდროქლორიდის ხსნარს უმატებენ ნიადაგის



ფენანტროლინი

ნიმუშს შეფარდებით (30-50):(30-50):1 და ინახავენ ოთახის ტემპერატურაზე 1-2 საათის განმავლობაში. სხვა (2) მეთოდი დამყარებულია: 1,00-2,00 მლ ჰიდროქსილამინჰიდროქლორიდის ხსნარს ურევინ, გოვებენ 5-10 წუთის განმავლობაში, სანამ Fe(III) გარდაიქმნება Fe(II)-ად. და ბოლოს, როცა pH=3-6-ის, უმატებენ ფენანტროლინს. აბსორბიციული უნარი განისაზღვრება სპექტროფოტომეტრულ მეთოდით 520 ნმ და ამით საზღვრავენ ამორფული რკინის რაოდენობას. მეთოდი მარგივი, მუსტი და პრაქტიკულია [94].

შემოთავაზებულია 2,3,4,5,7-პენტაჰიდროქსიფლავონით Fe(II)-ის კვალის განსაზღვრის ულტრაგრძნობიარე და მაღალსელექციური მეთოდი.




2,3,4,5,7-პენტაჰიდროქსიფლავონი


რეაქცია სწრაფია და ინარჩუნებს აბსორბციულ მდგრადობას 24 საათის განმავლობაში. მოლარული აბსორბციული უნარი შეადგენს $6,85 \cdot 10^4$ ლ/მოლისმ-ს. გრაფიკის სწორხაზოვნება 0,01-10 მგ/მლ. ხელაგის სტექიომეტრული თანაფარდობაა 1:2-თან. ეს მეთოდი წარმატებით გამოიყენება რკინის განსაზღვრისთვის ზოგიერთ ლითონში, ასევე ნიადაგის ნიმუშებში [95].

1.5. რკინის განსაზღვრის ფოტომეტრული მეთოდები საბაბოებში


შემოთავაზებული იქნა ასევეშერეულიგანდიანი კომპლექსის სახით ლითილ-4-ტრეგუთილფენოლთან გუანიდინის,




გუანიდინი



დიფენილგუანიდინი




გრიფენილგუანიდინი



ლითიოლი

დიფენილგუანიდინის, გრიფენილგუანიდინის და ლითიოლის თანაობისას რკინა(III)-ის სპექტროფოტომეტრული განსაზღვრის მეთოდები [96–98]. მთის ქანებში რკინა(III)-ის განსაზღვრისთვის გამოყენებული იყო ტეტრაჰიდროფურანი [99]. ეს განსაზღვრა დაფუძნებულია ტეტრაჰიდროფურანის 70%-იან ხსნარში რკინის სწრაფ დაჟანგვაზე (3+) და შემდეგ




ტეტრაჰიდროფურანი

კომპლექსის წარმოქმნაზე. ამ კომპლექსის მაქსიმალური ოპტიკური სიმკვრივე $\epsilon=1,53 \cdot 10^4$ შეინიშნება 396 ნმ გალლის სიგრძეზე. Fe(III)-ის 0,6 - 2,8 მლ⁻¹ კონცენტრაციისას ინტერვალში დაგრადუირებული გრაფიკი სწორხაზოვანია.


მაღალი მგრძნობიარე და სელექციურ-ექსტრაქციული სპექტროფოტომეტრული მეთოდი გოგირდის, აზოტის და ქლორის მჟავებით რკინა(III)-ის განსაზღვრა [100]. ეს მეთოდი დამყარებულია წარმოქმნილი რკინა(III)-ის ყავისებრი კომპლექსის ექსტრაქციაზე

3-ჰიდროქსი-2-(2-თიენილ)-4 H-ქრომენ-4-OH ქლოროფორმთან, როდესაც pH= 3,5-5,0.




ქლოროფორმი

კომპლექსის ექსტრაქტის მაქსიმალური სინათლის შთანთქმა $\varepsilon=5,27 \cdot 10^4$ შეიმჩნევა 415 ნმ ტალღის სიგრძისას. Fe(III)-ის კონცენტრაციის 0,1-1,4 მკგ/მლ ინტერვალში დაგრაღებული გრაფიკი სწორხაზოვანია. ცეტილტრიმეთილამონიუმის ბრომიდის - კატიონური ტიპის ზედაპირულად აქტიური ნივთიერების (ზან) თანაობისას გალის მჟავასთან რკინა(III) წარმოქმნის შეფერილ კომპლექსს [101]. ამ გარემოში, pH=5, გალის მჟავა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ კონცენტრაციები 0,20 - 15,0 მკგ/მლ.



ცეტილტრიმეთილამონიუმის ბრომიდი

რკინა(III)-ის განსაზღვრის ექსპრესიული, მგრძნობიარე და სელექციური სპექტროფოტომეტრული მეთოდი დამყარებულია მის 2,3-დიჰიდროქსინაფტილინთან კომპლექსის წარმოქმნაზე pH 5-8 [102,103].




2,3-დიჰიდროქსინაფტილინი

კომპლექსის მაქსიმალური სინათლის შთანთქმა შეინიშნება $\varepsilon = 1,1 \cdot 10^4$, კომპონენტების თანაფარდობისას 1:3 ტალღის სიგრძეზე 485 ნმ. ეს მეთოდიკა

გამოყენებული იქნა რკინის განსაზღვრისთვის მთის ქანებში. კაპროლაქტამში რკინა(III)-ის სპექტროფოტომეტრული მეთოდით განსაზღვრისთვის გამოიყენეს α, α' - ბიხანოლინი [104]. შესწავლილი იქნა რკინა(III)-ის კომპლექსწარმოქმნა 5-კარბოქსიეთენილ-8-მეტოქსი-2,2'- დიმეთილქრომთან და 6-კარბოქსიეთენილ-8-მეტოქსი-2,2'-დიმეთილქრომთან [27]. ორივე ორგანული რეაგენტი რკინა(III)-თან იძლევა სტაბილურ კომპლექსს კომპონენტთა თანაფარდობით 1 : 3. ეს რეაქტივები საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ რკინა კონცენტრაციით 32 მკგ/ლ და 82 მკგ/ლ შესაბამისად. პოლიმეტალურ რკინა(III)-ის საბადოებში და ზოგიერთ სინთეზირებულ, სინთეტიკურ, ხელოვნურ ობიექტებში რკინის სპექტროფოტომეტრული განსაზღვრისთვის იყენებენ 1-ამინო-4-ჰიდროქსიანტიპიკინოლს [105].

სპექტროფოტომეტრული მეთოდით გამოკვლეული იყო რკინის კომპლექსური ნაერთი რეაგენტ 2,2',3,4-ტეტრაოქსი-3'-სულფო-5'-ნიტროაზობენზოლთან [106]. შესწავლილი იქნა კომპლექსწარმოქმნის ოპტიმალური პირობები და კომპონენტების თანაფარდობა. ვულკანური წარმოშობის მთის საბადოებში (კალბაჯარის რაიონი) რკინის განსაზღვრისთვის შემოთავაზებული იყო მაღალსელექციური მეთოდები.


სპექტროფოტომეტრული მეთოდით შესწავლილი იქნა კომპლექსწარმოქმნა, ორ ბუფერულ ხსნარში, 1-ნიტროზო-2-ნაფტოლ-3,6-სულფომჟავათი რკინა(II)-ის ქანგვის შემდეგ [10]. დადგენილი იყო კომპლექსების ქიმიურ-ანალიზური თვისებები. კომპლექსის მაქსიმალური სინათლის შთანთქმა



1-ნიტროზო-2-ნაფტოლ-3,6-სულფომჟავა


შეიმჩნევა 710-720 ნმ ტალღის სიგრძეზე. რეაქცია გამოირჩევა მაღალი მგრძნობელობით.

სპექტროფოტომეტრული მეთოდით შესწავლილი იყო რკინა(III)-ის კომპლექსწარმოქმნა (2,3,4-გრიჰიდროქსიფენილაზო)ბენზილინთან მესამე




(2,3,4-ტრიჰიდროქსიფენილაზო)ბენზიდინი

კომპონენტის თანაობისას. მესამე კომპონენტად გამოიყენეს კატიონური ზელაპირულად აქტიური ნივთიერება (ზან):ცეტილტრიმეთილამონიუმის ბრომიდი (ცტმა-Br), ცეტილპირიდინის ბრომიდი (ცპ-Br) და ცეტილპირიდინის ქლორიდი (ცპ-Cl) [107]. შესწავლილი იქნა ბინარული და შერეულიგანდიანი კომპლექსის ოპტიმალური პირობები. ბინარული კომპლექსისთვის FeR – pH=2, $\lambda = 346$ ნმ; ხოლო შერეულიგანდიანი კომპლექსებისთვის: FeR – ცტმა-Br, pH - 1; $\lambda = 395$ ნმ; FeR – ცპ-Br, pH - 1;



ცეტილპირიდინის ბრომიდი (ცპ-Br)




ცეტილპირიდინის ქლორიდი (ცპ-Cl)

$\lambda = 382$ ნმ, FeR – ცპ-Cl, pH - 1; $\lambda = 382$ ნმ. დადგენილი იქნა, რომ მესამე კომპონენტის თანაობისას კომპლექსწარმოქმნა გადაინაცვლებს მეჟავა გარემოსაკენ.

1.6. რკინის განსაზღვრის ფოტომეტრული მეთოდები ცხიმებში

ბენზოჰიდროქსამის მეაჟა წარმოადგენს რკინის(III)-ის ფოტომეტრული განსაზღვრისთვის მგრძნობიარე და შერჩევით რეაგენტს



ბენზოჰიდროქსამის მეაჟა


[99,108]. რძის პროლექტებში რკინის(III)-ის მიკრორაოდენობების განსაზღვრა დამყარებულია მის მიერ ინტენსიური შეფერილობის კომპლექსის წარმოქმნაზე $\text{pH}=1,5-2,5$ [109]. კომპლექსის მაქსიმალური სინათლის შთანთქმა $\epsilon=1920$ შეიმჩნევა 490 ნმ ტალღის სიგრძეზე.

სპექტროსკოპული მეთოდით შესწავლილი იქნა რკინის(III)-ის კომპლექსწარმოქმნა დესფერიოქსამინთან [110]. რკინა(III) $\text{pH}=4,5-8$ დროს წარმოქმნის კომპლექსურ ნაერთს კომპონენტთა თანაფარდობით 1:2, როცა $\lambda = 293$ ნმ, $\epsilon = 5,58 \cdot 10^4$.

ჰიდროკრეკინგის შედეგად გაწმენდილ ცხიმში რკინის სპექტროფოტომეტრული განსაზღვრისთვის შემოთავაზებული იყო ორი მგრძნობიარე მეთოდი [111]. 1,10-ფენანტროლინის გამოყენებისას ბერის კანონისადმი დაქვემდებარება შეინიშნება, როცა Fe(II) -ის კონცენტრაციაა 0,06-2,00 მგ/ლ, თიოციონატის გამოყენებისას როდესაც Fe(III) -ის კონცენტრაცია გოლია 0-8,00 მგ/ლ. მეთოდის სისწორე შემოწმებული იქნა ატომურ-აბსორბციული ანალიზით.


1.7. რკინის განსაზღვრის ფოტომეტრული მეთოდები ხილისა და ბოსტნეულის ნიმუშებში

შესწავლილი იქნა რკინა(III)-ის კომპლექსწარმოქმნა ერიოქრომციანინ R-თან სპექტროსკოპული მეთოდით და დამუშავდა განსაზღვრის ექსტრაქციულ-ფოტომეტრული მეთოდი [112]. შეფერილი კომპლექსის, შედგენილობით Fe(III): ერიოქრომციანინ R-1:2-თან მაქსიმალური სინათლის შთანთქმა შეიმჩნევა pH=4,5-6,5 და ტალღის სიგრძეზე $\lambda=560$ ნმ. ჩაის ნიმუშებში რკინა(III)-ის მიკრორაოდენობების განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნა რეაქცია R სოლოქრომციანინთან Tween-80-ის თანაობისას [113]. იისფრად შეფერილი კომპლექსის მაქსიმალური სინათლის შთანთქმა $\varepsilon=4,70 \cdot 10^4$ შეიმჩნევა 550 ნმ ტალღის სიგრძეზე.




ერიოქრომციანინ R

შემოთავაზებული იქნა Fe(III)-ის განსაზღვრის ახალი სპექტროფოტომეტრული მეთოდი რეაგენტის როლში α -[(4-ამინოანტიპირინ)-აზო]- β -ნაფტილჰიდროქსილით [114]. კომპლექსის შედგენილობა Fe:R=1:2, ოპტიმალური pH=1,5-3,0; შთანთქმის მოლარული კოეფიციენტი $6,72 \times 10^4$, ($\lambda_{\text{ოპ}}$ - 300 ნმ). მაგრალეირებელ გრაფიკზე დაქვემდებარების ინტერვალი Fe $\leq 0,44$ მკგ/მლ. აღნიშნული მეთოდიკა გამოყენებული იყო წყალში და ჩაიში Fe(III)-ის განსაზღვრისთვის.




Tween-80

ასევე შემოთავაზებული იქნა მყარ ფაზაში, აღსორბენტის როლში სილიკოგელურიპოლიეთილენგლიკოლის (პეგ) გამოყენებით, Fe(II)-ის



პოლიეთილენგლიკოლი

განსაზღვრის პროცედურა მყარ ფაზაში. ეს მეთოდი დამყარებულია Fe (II)-ის განსაზღვრაზე კომპლექსის სახით, 2,2'-დიპირიდინთან აღსორბენტზე-




2,2'-დიპირიდინი

სილიკაგელი - პეგ. კომპლექსი გახსნილია 1,0 მოლი/ლ H_2SO_4 -ის ხსნარში და მისი აღსორბციული უნარი შეიმჩნევა 518 ნმ ტალღის სიგრძისას. შესწავლილია ზოგიერთი პარამეტრი, მაგ.: pH, რეაგენტის, გამხსნელის, აღსორბენტის რაოდენობა, იონების გავლენა. გრაფიკის სწორხაზოვნება შეინიშნება Fe(II)=1-60 ნგ/მლ. ეს მეთოდი გამოიყენება Fe(II)-ის განსაზღვრისთვის წყალში, პოლივიტამინურ კაფსულებში და ისპანახის ნიმუშებში [115].

სულფოსალიცილმჟავა და Fe(II) ხსნარში წარმოქმნის იისფერ -მოწითალო კომპლექსს. pH - ის მნიშვნელობა შეადგენს 2,00-3,00. საშუალომჟავა გარემოში

ვიტამინი „C“-ს შემცირებას მიყვავართ Fe(III)-ის Fe(II)-ად გარდაქმნამდე, იმისათვის, რომ შევამციროთ სისტემის Fe(III)-ს ულფოსალიცილური აბსორბცია.




სულფოსალიცილმჟავა

Fe(III)-სულფოსალიცილური სისტემის აბსორბციული უნარი ვიტამინ „C“-ს რაოდენობის პროპორციულია. შესწავლილია სხვადასხვა პარამეტრების გავლენა აბსორბციაზე. ოპტიმალურ პირობებში განსაზღვრის სწორხაზოვნება შეადგენს $2,0 \cdot 10^{-6}$ და $1,2 \cdot 10^{-4}$ მოლი/ლ და აღმოჩენის ზღვარი $1,46 \cdot 10^{-6}$ მოლი/ლ. მეთოდი მარტივი, ზუსტი და მგრძნობიარეა და წარმატებით გამოიყენება ხილის წვევნებში და ბოსტნეულის ნიმუშებში ვიტამინ „C“-ს განსაზღვრისთვის [116].

1.8. რკინის განსაზღვრის ფოტომეტრული მეთოდები მყარი მარილების ნიმუშებში


დიბენზოილმეთანის შერეულიგანდიანი კომპლექსების საფუძველზე შემოთავაზებული იქნა რკინა(III)-ის განსაზღვრის მეთოდები როთულ, სხვადასხვა ობიექტებში [117]. რკინა(III)



დიბენზოილმეთანი

დიბენზოილმეთანთან გრი-პარა-ოქტილფოსფინ-ოქსიდის თანაობისას წარმოქმნის შერეულიგანდიან კომპლექსს კომპონენტების თანაფარდობით 1:1:2 [117]. შემოთავაზებული იქნა რკინის(III)-ის სპექტროფოტომეტრული განსაზღვრის მეთოდი ორთო-ჰიდროქსიჟინონფტალეინით მემბრანული ფილტრით კონცენტრირების შემდეგ, $\text{pH}=4$ -ზე [118]. $\text{Fe(III):R}=1:2$ შედგენილობის კომპლექსის მაქსიმალური შუქშთანთქმა $\varepsilon = 1,18 \cdot 10^5$, შეინიშნება 510 ნმ ტალღის სიგრძეზე. დაგრაღიერებული გრაფიკი სწორხაზოვანია Fe(III) -ის 0-2,5 მკგ/მლ კონცენტრაციის ინტერვალში. მეთოდის გამოყენება შესაძლებელია რკინა(III)-ის განსაზღვრისთვის ისეთ რთულ ობიექტებში, რომელთა შედგენილობაში შედის: Al, Mg, Ca, Cu და Zn.

ნანოსტრუქტურულ მასალებში რკინა(III)-ის განსასაზღვრავად ნიშუშს ხსნიან გოგირდმჟავასა და ამონიუმის სულფატში, ხოლო ამის შემდეგ ამონიუმის ტარტრატით ტიტანის იონის შენიღბვით საზღვრავენ



ამონიუმის ტარტრატი

1,10-ფენანტროლინით მმარმჟავას გარემოში. შთანთქმის მოლარული კოეფიციენტი $4,7 \cdot 10^4$. გრაღიერებულ გრაფიკზე დაქვემდებარების ინტერვალი 0-100 მკგ/მლ.

შესწავლილი იქნა რკინა(III)-ის კომპლექსწარმოქმნა ბის-(2,3,4-გრიჰიდროქსიფენილაზო)ბენზიდინთან გრიფენილგუანიდინის და დიფენილგუანიდინის თანაობისას. დადგენილ იქნა ბინარული და შერეულიგანდიანი კომპლექსების წარმოქმნის ოპტიმალური პირობები. მომზადდა რკინის განსაზღვრის მეთოდიკა თუთია შემცველ გარემოში.


ჰეტეროციკლურ ამინებთან და სალიცილის მჟავასთან რკინა(3+)-ის კომპლექსური ნაერთები გამოკვლეულია სპექტროფოტომეტრული, იწ-სპექტროსკოპიის, რენტგენოგრაფიული, თერმოგრაფიმეტრული და ქიმიური ანალიზის მეთოდებით [119]. დადგენილია კომპლექსწარმოქმნის ოპტიმალური

პირობები, ფიზიკურ-ქიმიური და ანალიზური თვისებები. რკინის განსაზღვრის დაბუთებული მოცემული მეთოდიკა გამოიყენება ამ ლითონის განსასაზღვრავად სხვადასხვა ობიექტში.

სპექტროფოტომეტრული მეთოდით განსაზღვრულია მკაფა გარემოში Fe(II)-ისა და Fe(III)-ის კვალი ორთო - ფენანტროლინით. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ლამბერტ-ბერის კანონი რკინისთვის დაცულია 0 - 5 მგ/მლ ინტერვალში, შთანთქმის მოლარული კოეფიციენტი კი $1,1 \cdot 10^4$ ლ/მოლი.სმ. ფარდობითი სტანდარტული ცდომილებაა 2,82% და 2,68%. ეს მეთოდი სწრაფი, მგრძნობიარე, მარტივი და ზუსტია. Fe(II)-ისა და Fe(III)-ის კვალის განსაზღვრის შედეგები მყარი მარილების ნიმუშებში საკმაოდ წარმატებულია [120].

1.9. რკინის განსაზღვრის ფოტომეტრული მეთოდები სისხლში ნიმუშებში

დადგენილი იქნა, რომ როცა pH=3,6 პროტეინი არ წარმოქმნის შერეულიგანდიან კომპლექსს Fe(3+)-სა და ალიზარინთან [78], მაშინ



ალიზარინი (1,2-დიჰიდროქსიანტრაქინონი)

მაქსიმალური სინათლის შთანთქმვაა $\lambda=567$ ნმ. შესწავლილია კომპლექსწარმოქმნაზე სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენა. ოპტიმალურ პირობებში გრადუირებული გრაფიკი სწორხაზოვანია 0-200 მგ/გ ინტერვალში. შთანთქმის მოლური კოეფიციენტი გოლია $1,6 \cdot 10^5$. მეთოდი გამოიყენება სისხლში პროტეინის განსასაზღვრავად.

ლიტერატურის მონაცემების ანალიზი

ლიგერატურული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცნობილია რკინა(III)-ის სპექტროფოტომეტრული განსაზღვრის საკმაოდ დიდი რაოდენობა მეთოდებისა ბუნებრივ და სამრეწველო ობიექტებში უკვე ცნობილი და ახალი სინთეზირებული რეაქტივების გამოყენებით, მათ შორის მათი შერეულიგანდებიანი კომპლექსებითაც.

შემოთავაზებული რეაქტივები რკინა(III)-თან წარმოქმნიან ინგენსიურად შეფერილ ბინარულ და შერეულიგანდებიან კომპლექსებს შთანთქმის მოლარული კოეფიციენტით ინტერვალში $0,92 \cdot 10^3 - 1,8 \cdot 10^5$. რკინა(III)-ის განსაზღვრისთვის შემოთავაზებული მეთოდებიდან ყველაზე მგრძნობიარე მეთოდს წარმოადგენს შერეულიგანდებიანი კომპლექსის წარმოქმნის მეთოდიკა $1,10$ - ფენანტროლინთან ბრომკრემოლის ლურჯით ($\epsilon = 1,8 \cdot 10^5$). გარდა ამისა, მაღალი მგრძნობელობის მქონე მეთოდიკების სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ რკინა(III) - ის ორთო - ჰიდროქსიქინინფტალეინთან ($\epsilon = 1,18 \cdot 10^5$), 2 - (5 - ბრომ - 2 - პირიდილაზო) - 5 - დიეთილამინოფენოლთან ($\epsilon = 7,6 \cdot 10^4$) [23], ჰიდროფობული ამინების - გლ, ლფგ და ტფგ - ის თანაობისას, 2,6-დითიოლ-4-ტრეცბუთილფენოლ ($\epsilon = (7,3-7,8) \cdot 10^4$) [45] და Tween-80-ის თანაობისას ($\epsilon = 6,3 \cdot 10^4$).

ლიგერატურის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რკინა(III) - ის ფოტომეტრიული განსაზღვრის მარტივი და ექსპრესიული მეთოდიკების დამუშავება, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი მგრძნობელობით, სელექციულობით, სიზუსტით და სხვა ქიმიურ - ანალიზური თვისებებით, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ ამოცანას ანალიზურ ქიმილაში. ვინაიდან შერეულიგანდებიანი კომპლექსების წარმოქმნას ჩვეულებრივ მიყვავართ განსაზღვრის სელექციურობის გაზრდასთან, ამიტომ სხვადასხვა კლასის მესამე კომპონენტების გამოყენებით რკინა(III) - ის ფოტომეტრული განსაზღვრისთვის შესაძლებელია დამუშავდეს მეთოდიკები მაღალი ანალიზური პარამეტრებით.

მეორეს მხრივ, ლიგერატურული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რკინის ფოტომეტრული განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია რეაქტივები, რომლებიც დონორული ატომის როლში შეიცავენ ჟანგბადს და ამოცს, განსაკუთრებით ამონაერთები.

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, სადისერგაციო ნაშრომი ეძღვნება რკინა(III)-ის განსაზღვრის მაღალსელექციურ და მგრძნობიარე მეთოდის დაშუქებას ბუნებრივ და სამრეწველო ობიექტებში აბოწარმოებულებით შერეულიგანდებიანი კომპლექსების სახით.


ექსპერიმენტული ნაწილი

**ხსნარები, აპარატურა, სინთეზი და
რეაგენტების იდენტიფიკაცია**


2.1. ხსნარებისა და რეაგენტების იდენტიფიკაცია

რკინა(III)-ის სტანდარტულ ხსნარს საწყისი კონცენტრაციით $1 \cdot 10^{-1} M$ ვამზადებდით მეგალური რკინის შესაბამისი წონაკის კონცენტრირებულ მარილმჟავაში ($HCl_{კონც}$) გახსნით, მეთოდის მიხედვით. მიღებული ხსნარების კონცენტრაციას ვადგენდით მეთოდის შესაბამისად. რკინა(III)-ის უფრო განზავებულ ხსნარებს კონცენტრაციით $-1 \cdot 10^{-3} M$ ვამზადებდით საწყისი ხსნარის განზავებით უშუალოდ გამოყენების წინ.


ექსპერიმენტისთვის, ნაშრომში გამოყენებული იყო პიროგალოლის საფუძველზე სინთეზირებული ექვსი რეაგენტი: 2,3,4-გრიოქსი-4'-ფგორამობენზოლი; 2,3,4-გრიოქსი-4'-ბრომამობენზოლი; 2,3,4-გრიოქსი-4'-ქლორამობენზოლი; 2,3,4-გრიოქსი-4'-იოდამობენზოლი; 2,3,4-გრიოქსი-4'-ამობენზოლი და 2,2',3,4'-ტეტრაჰიდროქსი-5'-ნიგროამობენზოლი. აღნიშნული რეაგენტების პირობითი აღნიშვნები, ფორმულები, აღნაგობა და მოკლე დასახელება მოცემულია სურათი 1-ზე.




ა)




ბ)




ბ)



დ)



ე)



ვ)

სურათი 1. ა) 2,3,4-ტრიოქსი-4'-ფტორაზობენზოლი; ბ) 2,3,4-ტრიოქსი-4'-ბრომაზობენზოლი; გ) 2,3,4-ტრიოქსი-4'-ქლორაზობენზოლი; დ) 2,3,4-ტრიოქსი-4'-იოდაზობენზოლი; ე) 2,3,4-ტრიოქსი-4'-აზობენზოლი; ვ) 2,2',3,4'-ტეტრაჰიდროქსი-5'-ნიტროაზობენზოლი

რეაგენტების $1 \cdot 10^{-3} M$ კონცენტრაციის ხსნარებს ვამზადებდით ზუსტად აწონილი წონაკითხითი სპირტში.

მესამე კომპონენტად ვიყენებდით ჰიდროფობური ამინების ხსნარებს – ლიანტიპირილმეთანი (დამ), ლიანტიპირილპროპილმეთანი (დაპმ), ლიანტიპირილფენილმეთანი (დაფმ), ფენანტროლინი (ფენ), α, α' -დიპირილინი (α, α' -დპ), ლიფენილგუანიდინი (ლფგ), ტრიფენილგუანიდინი (ტფგ), პაპავერინი (პაპ), ლიბაზოლი(ლიბ), უროტროპინი(ურ)სურათი 2., რომლებსაც ვამზადებდით მათი შესაბამისი წონაკების ეთანოლისა და ეთანოლ-წყალის (7:3)ნარეგებში გახსნით.

ყველა გამოყენებული პრეპარატი იყო „ქ.ს“ ან „ს.ა“ კვალიფიკაციის. საჭირო მჟავიანობის შესაქმნელად ვიყენებდით ამიაკო-აცეტატურ ბუფერულ ხსნარებს (pH 3-11), HCl (pH 0-2) და NaOH (pH 12-14). ამიაკო- აცეტატურბუფერულ ხსნარებს ვამზადებდით 0.1 M კონცენტრაციის CH_3COOH და NH_3OH ხსნარების გამოყენებით. CH_3COOH და NH_3OH 0.1 M კონცენტრაციის საჭირო ხსნარებს ვამზადებდით შესაბამისი მზა, გასაყიდი ძმარმჟავასა (98%) და ამიაკის (25%) ხსნარებიდან. მარილმჟავას – HCl ვამზადებდით ფიქსონალით. ნატრიუმის ტუტის – NaOH ხსნარს ვამზადებდით მისი კონცენტრირებული ხსნარიდან, რომელსაც წინასწარ ვათავისუფლებდით კარბონატებისგან ბარიუმის ქლორიდის – BaCl_2 დახმარებით.

2.2. კვლევის მეთოდებში გამოყენებული აპარატურა

ხსნარების შექმნა და შენახვა ხდებოდა ვიზუალური სპექტროფოტომეტრით „Lambda - 40“ (Perkin Elmer) ფირმის) კომპიუტერული უზრუნველყოფით „Perkin Elmer“ და ფოტოელექტროკოლოტიმეტრზე KFK-21 სმ ფენის სისტემის კიუვეტებში.

ბმრსპექტრები გადაღებული იქნა ბრუკერის ფირმის სპექტროფოტომეტრზე „BRUKER - 300“ სიხშირეზე 300 (^1H) და 62.901 (^{13}C) ჰც დეიტერირებულ გამხსნელებში (D_2O , DMSO) და გეგრაჰეთილსილანის – TMC შიდა სტანდარტით.

ხსნარების pH-ის მნიშვნელობების კონტროლს ვახდენდით მინის ელექტროდიანი „H-130“ მარკის pH - მეტრის საშუალებით.

ხსნარების სვედრით ელგამტარობას ვზომავდით „KЭЛ-1M2“ ტიპის კონდუქტომეტრზე.

2.3. რეაგენტების სინთეზი

რეაგენტები სინთეზირებული იყო ცნობილი მეთოდის [121] მიხედვით. პიროგალოლის ამონაერთების მიღების დასაშვები მეთოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სუფთა პიროგალოლის მიღება. პიროგალოლი ფართოდ გამოიყენება ქიმიურ მრეწველობაში საღებრების სინთეზისთვის, მაგრამ ქიმიურად სუფთა სახით მისი წარმოება არ ხდება. ამიტომ საჭირო გახდა პიროგალოლის წინასწარი გასუფთავება, რომელსაც ვახდენდით შემდეგნაირად: ქრომატოგრაფულ სვეტს მჭიდროდ ვავსებდით პიროგალოლით, ხოლო სვეტში ზემოდან ნელ-ნელა შეგვყავდა 0.01 ან 0.001 M-ის მარილმჟავა ან გოგირდმჟავა, მათ გარემოში პიროგალოლის შემცველი მჟანგავი და სხვა, გვერდითი პროდუქტები უფრო ადვილად იხსნება, ვიდრე თვითონ პიროგალოლი. პიროგალოლის დამაბინძურებელი პროდუქტები ჩამოედინებოდა სვეტიდან, ხოლო სუფთათვითი ფერის პიროგალოლი რჩებოდა სვეტში. პიროგალოლის სისუფთავის ხარისხის შემოწმებას ვახდენდით ქრომატოგრაფული მეთოდებით და ლღობის ტემპერატურით.

ამორეაგენტების სინთეზი მიმდინარეობდა ორი ეტაპად:

პირველი ეტაპი - ამინების დიაზოტირება: ანილინი; H-F ანილინი; H-Cl ანილინი; H-Br ანილინი; H-I ანილინი; H-NO₂ ანილინი. დიაზოტირების პროცესში ხსნარს უნდაქონოდა მჟავა რეაქცია, რადგან pH-ის მაღალი მნიშვნელობისას წონასწორობა:





გადაინაცვლებს თავისუფალი ფუძის მხარეს, რომლებიც გაცილებით უფრო ძნელად იხსნება წყალში და ამ დროს დიაზოტირებული ფორმის აგენტების რეაქციის უნარიანობა გადადის არააქტიურ ფორმაში [122].

მეორე ეტაპი - ამოშეუღებების მეორე ეტაპზე დიაზონაერთები რეაქციაში შედიან პიროგალოლთან. ამოშეუღებების რეაქციის ჩატარების პირობები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამონაერთების აღნაგობაზე [119].

2.3.1. 2,3,4-ტეტრაოქსი-5'-ქლორაზობენზოლის

სინთეზი

H-Cl ანილინის დიაზოტირების და 2,3,4-ტეგრაოქსი-5'-ქლორაზო-ბენზოლის მიღების რეაქცია შეგვიძლია გამოვსახოთ შემდეგი განტოლებით:




H-Cl ანილინის დიაზოტირებისთვის ჭიქაში ხსნიან 0,05 მოლ H-Cl ანილინს 2 მლ წყლის და 15 მლ კონცენტრირებული მარილმჟავას ნარევეში. მიღებულ ნარევს აცივენ 0°C -ზე, თანდათანობით უმატებენ 30 გ წვრილად გაფხვიერებულ ყინულს ინტესიური მორევის პირობებში, წვრილკრისტალური მარილმჟავა ამინის მისაღებად.

გაცივებულ ნარევს საწვეთურიანი ძაბრიდან თანდათან, წვეთ-წვეთობით ენერგიული მორევის პირობებში, უმატებენ 0-5°C-მდე გაცივებულ 10 მლ 0,05 მოლ ნაგრიუმის ნიგრაგის წყალხსნარს. სარეაქციო ნარევის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 2°C - ს. ამავდროულად, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ხსნარის გარემო მუდმივად იყოს მჟავა. დიაზოტირების რეაქციის დამთავრებას აკონტროლებენ სახამებლიანი ქაღალდით. ამისთვის სარეაქციო ნარევის წვეთი დააქვთ სახამებლიან ქაღალდზე. ქაღალდზე ლურჯი ლაქის წარმოიქმნა მიანიშნებს დიაზოტირების რეაქციის დასრულებას. დიაზოტირების რეაქცია მიმდინარეობს 10-15 წუთის განმავლობაში. ამოშუქლებამდე დიაზონაერთის ხსნარიდან მოაცილებენ ნიგრაგის ჭარბ რაოდენობას, რისთვისაც მუდმივი მორევის პირობებში, ხსნარს მცირე ულუფებით უმატებენ მშრალ შარღოვანას.


